ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6938632

ნომერი: AR11023628

თარიღი : 14.03.2024

გაცემის თარიღი : 19.03.2024

გაცნობის თარიღი : 22.03.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტვილდიანი პ/ნ 01008043924
- დ. მესტია გ.ჯაფარიძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი)
  რეკონსტრუქცია
- პერგოლა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს 14/03/2024 წლის AR11023628 განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა) ამაღლების ქ. N47-ში (ს/კ №01.15.05.088.004) შპს „NGS Group“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებით შეთანხმებული სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე 15/11/2021 წლის № 6831136 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა . მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 08 იანვრიდან 2026 წლის 08 იანვრის ჩათვლით.

ვინაიდან თქვენს მიერ 14/03/2024 წლის AR11023628 განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო სამუშაოები ეხება 2023 წლის 20 ივნისის №6512634 განაცხადის საფუძველზე შეთანხმებული დოკუმენტაციით გათვალისწინებულ არეალს და შესაბამისად გულისხმობს ამ დოკუმენტაციის ცვლილებას, საჭიროა საკითხი დააყენოთი შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირების) მოთხოვნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საკითხთან დაკავშირებით.

სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის და სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.